



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ო კ მ ი N26**

ქ. მარნეული

29.12.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აკმამედ იმამკულიევი, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, დავით ხუციშვილი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, ნიკოლოზ მუმლაძე, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვმან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, თორნიკე გოგლიძე, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

**არ ესწრებოდა:**

რამინ ალახვერდიევი, გეიდარ მუსაევი, აივაზ ისკანდაროვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ილხამ გასანოვი.

**სხდომას ესწრებოდა -**

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მერის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძე, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზაურ დარგალი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ია ესებუა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ორხან ნაბიევი.

**სხდომას ესწრებოდა -**

„TV-მარნეული“-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. ფრაქციების დაფუძნების შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტების დაწესების შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების მართვის გეგმის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
7. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (წინააღმდეგი წავიდა აკამამედ იმამკულიევი. მიღებულია დადგენილება N63. 29.12.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კიდევ 2 ფრაქციის შექმნისა და ფრაქცია თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“-ს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვანო ბურნაძე, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ზურაბ ჭონიაშვილი, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“-ს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნიკოლოზ გოგოჭური, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ზურაბ ფანგანი, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილედ ტარიელ მამედოვი და ნადირ გულიევი, რაც საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად (მიღებულია განკარგულება N119. 29.12.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის პროექტი, რაც გამოწვეულია ახალი ფრაქციების შექმნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N120. 29.12.2017 წ.).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N121. 29.12.2017 წ.).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ზაურ ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების გეგმა, რომლის მიღებასაც გვავალდებულებს კანონმდებლობა მ/წლის ბოლომდე და ითხოვა მოხდეს მისი მიღება ზეპირი განმარტების საფუძველზე და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს გათვალისწინებით, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მოხდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N122. 29.12.2017 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობებრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N62 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციების შექმნით და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებად ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეების დამატებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N69. 29.12.2017 წ.).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გადატანილი იქნეს შემდგომი სხდომისათვის, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსმა ბესო ნიჭარაძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილით მიღებული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით, დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N35 დადგენილებასა და 2017 წლის 24 ნოემბრის NN46, 47, 48, 49 და N50 დადგენილებებში შესატანი ცვლილებების პროექტები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები NN64, 65, 66, 67, 68 და N70. 29.12.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე